

რამაზ  
კლიმიაშვილი:

# სააკაშვილი საქართველოს სპარსეთსა და თურქეთს რუქნის

გენერალი ბრენტ  
სკოტუროფტი:



რუსები  
საქართველოს  
ვიმართ ისევე  
მოიქმნენ,  
როგორც ჩვენ  
- კოსოვოს  
4 საქითხუი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.net

№19  
(62)

26 მაისი - 2 ივნისი, 2010

# საქართველო დასი | დარი

განმარტვლი

info@geworld.net

## მაჰათმა განდი და განსათიანი «პოლიტიკა»

როცა ამ წერილს წაიკითხავდა, პრეზიდენტს უსათუოდ უნდა გახსენებოდა ჩვენი არცთუ შორეული წარსული — XX საუკუნის 20-იანი წლები, როცა ევროპის მონიწივე სახელმწიფოთა „მხოლოდ შემფოთების“ იმედად თურქეთის პირისპირ და რუსეთის ამარა დავრჩით... პრეზიდენტს უსათუოდ უნდა გახსენებოდა, თუ როგორ მოუხდათ ქვეყნის დატოვება ნოე ჟორდანიასა და მის თანამოაზრეებს, მთლიანად „პოლიტიკურ ელიტას“; ამდენი რამის გახსენების შემდეგ, არა მგონია, პატივცემულ სააკაშვილს არ აღმოხდენოდა ოხვრა: — ისევ გაგვიდეს ამ შობელძაღვლებმა!..

მაჰათმა განდისგან განსხვავებით, ჩვენი „ყოვლისშემძლე“, „ნულოვანი ტოლერანტობისა“ და „ყველანი ციხეში“-ს ინიციატორი პრეზიდენტი არა მხოლოდ სუშისა და სხვა ძვირადღირებული კერძების ჭამაშია რეკორდსმენი, არა მხოლოდ ძვირფას სასახლეში ცხოვრობს მეფური განცხრომით, არამედ არც „პროფესიონალიზმით“ ცნობილ მასაჟისტებთან საუნაში ნებივრობას იკლებს და არც არჩევნების გაყალბებას უკადრისობს; ხაზინაშიც დიდი მონდომებით აფათურებს ხელს და პირტიტველა ბიჭების „Без суда и следствия“ დახვრეტაში მხილებულ ჩინოვნიკებსაც „დემოკრატიულად“ მფარველობს.



2  
ლანსეტი  
თუ ნაჯანი,  
ანუ ვის  
დაუჯიკებს  
განსიკული  
პკაჟიდანტი?

8  
მონაგლის  
შიუით  
პიკველი პიკი  
ოფიხილურ  
შესვადკიკებს  
პკარ სდილოგს

9  
ნახებამ  
ნიენსაარჩვენო  
სლოგანი  
ყვარყვარა  
თუთაგარს  
მოკპარას

10  
პოლიხიური  
ჩაჟიმი უკვე  
სკოლაგუიხ  
დაგკვიდრდა

11  
რა ქონებას  
ფლოგან  
სახელგნიფოს  
გალალი  
თანაგდაგოგის  
პიკაგბი?

6

# GOOD BYE, MIKHEIL, GOOD BYE!

















საქართველო

გზურთ, გაგზიხართ თქვენი მოსაზრებები? დაგზიხართ: 38-41-97, ან მოგზიხართ: info@geworld.net

წინასაარჩევნოდ ყველა პარტია და კანდიდატი საარჩევნო სლოგანებს ირჩევს და მათი საშუალებით ცდილობს ამომრჩევლის „გულს მოგებას“. ვის როგორ გამოსდის ეს და რამდენად შედეგიანი სლოგანები აქვთ, ამას საქართველოს კვლობაზე დიდი მნიშვნელობა არ აქვს. არჩევნები ხომ მაინც ყალბდება? ხელისუფლებამ, წლებია, ვერ „ააშენა სოფელი“, მაგრამ მაინც გვეუბნებიან, რომ „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“, და კიდევ „ითხოვენ“ დროს ქვეყნის უფრო მეტად დაქვევისათვის. თუ რა კურონი შეემატება „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთ ქუთაისელ მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატს, ვის სლოგანს იყენებს ირაკლი ალასანი და როგორია საერთოდ საარჩევნო სლოგანების ახალი ვერსიები, ქვემოთ გაგაცნობთ.

ქუთაისში ერთ-ერთ უბანში მოსახლეობასთან შეხვედრისას მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატს ერთმა ქალბატონმა უთხრა:

- აი, გენაცვალე, მე უკვე 2 კბილი გავიკეთე.
- კარგია, გინდებათ, — მოუწონა კანდიდატმა.
- კი, კარგია, მაგრამ „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“...
- ენამოსწრებულად უპასუხე ქალბატონმა.
- ახლა ამ ამბავს ქუთაისში ანეკდოტად ყვებიან.
- „ნაცების“ ამ სლოგანზე სხვაგანაც ხუმრობენ.
- დიდი მადლობა, მანქანა რომ გამიკეთეთ, — მიმარ-

თავს ხელოსანს მანქანის პატრონი, — ესე იგი ეშველა ჩემს მანქანას.  
— გასაკეთებელი კიდევ ბევრია! — მიუგო ხელოსანმა.  
— „ნაციონალების“ სლოგანი ზოგადად მოქალაქემ დემოკრატიული პრობლემების გადასაწყვეტად გამოიყენა. ცხრაშვილიან მამას უბნებთან: — რა კარგია, ამდენი შვილი რომ გყავს...  
— გასაკეთებელი კიდევ ბევრია! — უპასუხა კაცმა და საძინებელში შევიდა.  
არანაკლები განხილვის თემა გახდა ქრისტიან-დემოკრატების საარჩევნო სლოგანი: „დენი

# ნაშაბა წინასაარჩევნო სლოგანი ყვარყვარა თუთაბაჩაძეს მოჰყარა



— 10 თეთრი, გაზი — 5 თეთრი, წყალი — უფასო“ და რამდენიმე ვერსიაც გაჩნდა: „ღვინო — 10 თეთრი, ლუდი — 5 თეთრი, გრიგოლი — უფასო“. ქმს — „საარჩევნო“ სლოგანში შევიდლიათ დუდუკის არჩევაც, გრიგოლის ნაცვალად და სურვილის შემთხვევაში მათი პარტიის რომელიმე წევრიც მოყვება „უფასოდ“ ან „პოსლევზე“. ქმს (ქვემდრომ-დემოგოგთა მოძრაობა) სლოგანი კოვჩის ტყის ზღაპარს უფრო ჰგავს.

რაღაც შეეხება ირაკლი ალასანიას სლოგანს — „ჩვენ შეეცვლით“ ვერსიაც განაგრძობს, რაც ნაცვალის გასაშუალოებულად და პირდაპირ ბარაკობასასა-არჩევნო სლოგანი გადმოაქართულა. საინტერესო ფრაზით გამოჩნდა ნიკა ივანიშვილი — „თბილისი ჩემი სახლია“. რომ

# მიუხედავად ქალაქს მიდიოდნა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდა

გასულ კვირას ავლაბრის მეტროს ფასადზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა და თბილისის მერობის კანდიდატმა გიგი უგულავამ ვერტიკალური ბალი გახსნეს. ბალის გასაშენებლად სპეციალურად საფრანგეთიდან ლანდშაფტის არქიტექტორი პატრიკ ლანი ჩამოიყვანეს. ბალი 4 400 ძირი წერტილი 107 კვ.მ-ზეა გაშენებული. ეს საიარსება კი თბილისელებს სულ რაღაც 68 000 ევრო დაუჯდათ.

„მართალია, დღეს ეს ბალი ისე ლამაზად არ გამოიყურება, მაგრამ ერთ თვეში საოცრება იქნება. ესაა ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგია მსოფლიოში. იმდენი უბედური კედელი დაგვიტოვა ძველმა ეპოქამ, იმდენი სიმახინჯე, რომ ყველაფერს ვერ და არც დაგვანგრევთ. ამიტომ უნდა გავალამაზოთ, გავამშენოთ, ავაყვაოთ და ასე მაინც გადავიფაროთ ის, რაც ათწლეულების მანძილზე ნადგურდებოდა,“ — განაცხადა სააკაშვილმა.

დაუსრულებელი ობიექტების ზარზუმით გახსნა ჩვენი პრეზიდენტისთვის, რომლის ერთ-ერთი მეტსახელი შადრევან პირველიც გახლავთ, ნამდვილი ჰობია. იქ, სადაც რამდენიმე მცირე ობიექტი უავგუსტესმა სამეფრ და ოთხეფრ გახსნა, ასეთი საინტერესო ბალი ნამდვილად „ისახურებს“ (სულ ცოტა) ორეფრ პრეზენტაციას, მაგრამ საინტერესოა, უღირს თუ

არა თბილისის ეს „ზეაშფერისი“ ბალი 68.000 ევროდ თანაც უნდა ვივარაუდოთ, რომ სხვა საზღვიმოდ გახსნილი „შადრევნებში“ არჩევნების დასრულებისთანავე ეს ბალიც ხმელი მცენარეების გროვად იქცევა, რადგან მთავარი ჩვენი პრეზიდენტისთვის გახსნის ცერემონია, ანუ პიარია, თორემ მოვლა-პატრონობა, როგორც წესი, მისი ახირებების წუსსაში არ შედის.



მოგონო სანახაობად იქცა. ეს პროექტი კი თბილისის მერიას 420 000 ლარი დაუჯდა. ბევრ თბილისელს დღესაც ძალის ნაკლები ახსენდება რიყეზე აშენებულ ლითონის რაღაც მქეპანიკურ-გასართობი ავლაბრის ბალივით ზეაშფერისი ატრაქციონი, რომელიც არაერთხელ გაიჭედა და შიშით შიგ ალარავინ უჯდებოდა, რის გამოც მოკლე დროში თქვენი ჭირიც ნაილო და ასეულ ათასობით დოლარიც თან გაიყოლა. ახლა სწორედ იმ ნაგრვეის მეზობლად შეუწყვეტილი ტემპით იგება ახალი გასართობი საოცრება — „შუშის ხიდი“, რომლის მსგავსი, პრეზიდენტ სააკაშვილის თქმით, მთელ დუნიაზე არ მოიძებნება. არ გაგვიკვირდება, თუკი ერთ მშენებელ დღეს ამ უნიკალურ, მანაგებობამაც ვეღარ დააკამოფილოს ქვეყნის მბრძანებელთა ევროატლანტიკური გეგმვება — ხიდი დაანგრიო და მასთან ერთად დახარჯული მილიონებიც მტკვარში გადაუძახდონ. განა ასე არ მოიქცენენ, როცა მავანს გამართა მოედანზე ესტაკადის აშენების იდეა მოეძალა, რამაც იქ ადრე აგებულ ესტაკადის ოცნებები ნალოლიაგები შადრევანი შეინირა, რომელსაც თბილისელებმა სიყვარულით „ბენდუქიძის ოყნა“ შეარქვეეს? შადრევნებს არა უშავს, ის მაინც არ დააკრგულა, აი, სპორტის სახალესთან ასევე დიდ ზარზუმით გახსნილი ყინულის მოედანი კი, რომელიც მერსას 40 მილიონი დაუჯდა, სად გაქრა, არავინ იცის. სააკაშვილის ახირებები ბიუჯეტს ძალიან ძვირი უჯდება, ჩვენი ქვეყნის საგარეო ვალი კი უკვე იმდენი დაგვიგროვდა, რომ ობიექტისთვის გათვლებით თითოეულ ოჯახს საშუა-



ლაღ მათის ევრო მართებს. არადა, სწორედ საგარეო ვალზე კრედიტებით შენდება „სუპერთანამედროვე შუშის ხიდიც“ და ესტაკადიც, რომელმაც ვაკე-საბურთალო ერთმანეთთან უნდა დააკავშიროს.

საკაშვილის პირადი ახირების გარდა, სხვა ვერაფრით ავხსნილ იმას, რომ შუშის ხიდის მშენებლობა ჯერ დასრულებული არაა, მისი გახსნის ცერემონია კი სააკაშვილმა უკვე ჩაატარა და 6 მაისს ექსტრემის მოყვარულ დამთვალეებლებს ხიდზე ახვლის უფლება პირადად მისცა. დღეს მიმდინარე სამუშაოების გამო ხიდი მოსეირნეთათვის დახურულია და, ალბათ, კიდევ ერთი „საზღვიმო“ გახსნის ცერემონიასაც მალე ვიხილავთ.

ქართველი ხალხის ეროვნული ერთიანობის დღეს სიმბოლურად ეხსნით არა მარტო ორი სანაპიროს, არამედ წინა და მომავალი თაობების დამაკავშირებელ ხიდს, რომელსაც ვერავინ ჩატყის, — განცხადა ხიდის გახსნის პირველ ცერემონიაზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა, თუმცა არავინ იცის, ხუთ თვეში აშენებული ამხელა კონსტრუქცია რამდენად და უსაფრთხო და საიმედო. ისე, თუ გაკეთება იყო, ისეთ ადგილას მაინც გაეკეთებინათ, სადაც ხიდი მართ-











# Good bye, Mikheil, good bye!

იმ დროს, როცა მსოფლიო გლობალური დატობის შედეგებით ითრგუნება, საქართველოში გამყინვარების უამრავი დგას. არაადეკვატური ქვეყანაა. სრული გამყინვარება მსოფლიო თანამეგობრობაში საქართველოს მიმართ. სააკაშვილი კი რატომღაც გარუჯული დადის. ესეც არაადეკვატურობის ნიშანია.

## საქართველო უინ მარტო დატოვენ

ასე გადმოქართულდება Eurasia.Net.org საიტზე გამოქვეყნებული რეპლიკის სათაური — ერთგვარი კანის პროლოგი როგორც ლეონკავალის ოპერისთვის „ჯამბაზები“ — „მაშ, ასე — ჩვენ ვინყვებთ!“.



მედევედეთან შეხვედრას „გარბიან“, — ნათქვამია Eurasia.Net.org საიტზე. მარტო ეს რომ იყოს! დაუფარავად დაგვიჩინან: რუსეთთან ბირთვულ საკითხებზე თანამშრომლობით დაკავებული ვაშინგტონი, ქირილეებენ, საქართველოს პირველი ასოს (სანის) წარმოთქმასაც კი გაუბრუნეს. ხოლო, თუ წარმოთქვამს, „კონტექსტი ყოველთვის ისეთი არ არის, როგორცაა თბილისი ისე ურეგულა. მაგალითად, 10 მაისს ობამამ დაუფარავად განაცხადა, რომ საქართველო დაბრკოლება აღარ არის აშშ-რუსეთის ბირთვულ თანამშრომლობაზე შეთანხმებისთვის“.

მთლად ნუ გადავწვრავთ ნყალს: თეთრი სახლი დრო დრო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერ განცხადებებს, რა თქმა უნდა, აქვეყნებს. „თუმცა ბევრი ქართველისთვის ეს იგივეა, რაც ფეისბუქის მეგობრის ფოტოზე კომენტარის მიწერა, მასთან მოსალხენად შეხვედრის ნაცვლად“, — ესეც — ინტერნეტსარკაზმი ამერიკულად. მაგრამ რაღა სარკაზმია და მალდიდან ყურება, როცა ნყალქვეშაა უზარმაზარი აისბერგი, რომლის მხოლოდ ხილული ნაწილია ბარაკ ობამას განცხადება და რომელთან შეჯახებაც სააკაშვილის „ტიტანიკს“ ისე ჩაძირავს, რომ მისი ხელისუფლების ვირთხები გაქცევას ვერ მოასწრებენ. თუ უკვე არ უშველეს თავს.

## აშშ რუსეთის მეზობლებზე უარს ამბობს

The Washington Post




„ვაშინგტონ პოსტი“ დევიდ კრამერის ამ წერილს უფრო სხვა სათაური მოუხდებოდა: „აშშ-მა რუსეთის მეზობლებზე უარს ამბობს“. ავტორი, როგორც ბუშის ადმინისტრაციის ყოფილი ჩინოვნიკი (ბუშის ადმინისტრაციის ევროპისა და აზიის საკითხებში სახელმწიფო მდივნის თანაშემწედ მუშაობდა), კრიტიკულადაა განწყობილი ახალი ადმინისტრაციის მიმართ; წერს, რომ მას ყოველთვის აწუხებდა ის, რომ „ობამას ადმინისტრაცია პრინციპის — „რუსეთი უწინარეს ყოვლისა“ გამო, მოსკოვის მეზობლების საზიანოდ იმოქმედებდა.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველაფერი კიდევ უფრო უარესადაა: ახლა ისინი მოქმედებენ პრინციპით — „რუსეთი და მხოლოდ რუსეთი“ და ავინყვებთ, მეტიც, ბედის ანაბარა ტოვებენ რეგიონის დანარჩენ ქვეყნებს“. ესეც იგი, ბუშისა და მისი „პროექტისადმი“ — სააკაშვილისადმი კეთილგანწყობილი კრამერი დარწმუნებით ამბობს, რომ ახალმა ადმინისტრაციამ მკვეთრად შეცვალა პოლიტიკა და რუსეთთან ურთიერთობის გამწვავების ხასიათზე სულაც არ არის. მაგრამ ეს ავტორიც კი არ ლაღობს ობიექტურობას და აღნიშნავს, რომ, თუ ადრე რუსეთს საქართველოში ერთადერთი სამხედრო ბაზა ჰქონდა

## THE HUFFINGTON POST ობამას დალატს საქართველოსადმი ბარაკული აზრი აქვს

სხვა გზა არ გვაქვს, ამ ჩიქორთულად ნათარგმნით უნდა დავკმაყოფილდეთ. ნუ გამოვეკიდებით მაინც და მაინც ადეკვატურობას. ატეხილია ერთი ამბავი მასმედიაში: ულალატა თუ არა აშშ პრეზიდენტმა საქართველოს, როცა განაცხადა, რომ რუსეთთან შეთანხმების დასადებად ჩვენ ამერიკისთვის არავითარ დაბრკოლებას არ წარმოვადგენთ.



ათასნაირად ატრიალეს ცალკე საიმონ შუსტერის ამ წერილის სათაური, ცალკე — აშშ პრეზიდენტის სახელი და გვარი. ვილატამ თავზე ნაცარი დაიყარა, ვილატამ (ერთმა ქართველმა ტელეპოლიტოლოგმა, რომელსაც ამჟამად ეტყობოდა სააკაშვილის ფანობა) დაგვიამედა — კონგრესისადმი ობამას მიმართვაში საქართველოს ხსენება ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა ამერიკისთვის მნიშვნელოვანიაო(!!). არადა, აშშ პრეზიდენტის განცხადება იყო პოზიციის დაფიქსირება, რომელიც გვიდასტურებს, რომ ობამას ადმინისტრაციამ ჩვენზე ხეცის ჩაქინა. ყოველ შემთხვევაში, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების პროცესში ჩვენს პრობლემებს ამერიკა დაბრკოლებად არ აღიქვამს.

რომელსაც ვარაუდი პრაქტიკულ ჭრილში გადააქვს: „...მას მერე, რაც ევროკავშირის გამოძიებამ დაასკვნა, რომ 2008 წლის ომში პრეველი გასროლა სააკაშვილის ბრძანებით მოხდა, ამ ვარაუდს სულ უფრო მეტი რამ ადასტურებს. ეს გეოგრაფიკული იყო, მაგრამ სააკაშვილი ამაზე წავიდა და აშშ და მისი მოკავშირეები ბირთვულ სუპერსახელმწიფოსთან კონფრონტაციაში თითქმის ჩაითრია“.

მაინც რატომ გვეგონა, რომ სამეცნიერო ფიქსიციის და ყველა, უწინარესად, ამერიკა, რომლის მზეს ვიფიქვებდით, „დემოკრატიის შუქურის“ ჩაქრობას არავის გააბედვინებდა? გვეგონა კი იმიტომ, რომ ამაში დარწმუნებული იყო მხიელი სააკაშვილი და ამასვე გვიჭედავდა ტვინიში თანამემამულეებს.

საიმონ შუსტერი ერთ საინტერესო ფაქტს იხსენებს: დანილი კუნიჩინა, რომელიც სააკაშვილის უახლოესი მრჩეველი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გახდა, „რუსეთთან კატასტროფული ომის შემდეგ... ქართული პროექტისგან დისტანცირება იყო“.

ამის ნიშნები წერილის ავტორმა პრეზიდენტის სასახლეში იმ ფოტოგამოფენასავით მოწყობილი ოთახის გაველისას შენიშნა, რომლის კედლებზე ბუშის ადმინისტრაციის მთავარი ფოტოურების ექსპოზიცია იყო მოწყობილი: „...ოთახი იმ უბის წიგნაკს ნაბავს, რომელიც საყოველთაო სახილველად გადაუშლიათ, იმის სიმბოლოდ, თუ სად იდებს სათავეს სააკაშვილის თავდაჯე-

„თუ კუნიჩინა, — ხაზს უსვამს ავტორი, — დახლოებული კაცია, რომელმაც რამდენიმე წელიწადი საქართველოს მთავრობას შესწირა, სააკაშვილისგან გამოიჯენა გადწყვიტა, რატომ უნდა უერთგულოდ მას ობამამ?“

გუდაუთაში და ისიც გასაუქმებლად იყო გამაზღვებული, „მას შემდეგ, რაც რუსეთი საქართველოს თავს დაესხა, ყველაფერი გაუარესდა... ახლა საქართველოს ტერიტორიაზე მას გაცილებით მეტი სამხედრო და საბრძოლო მასალა აქვს“. გაუარესების მიზეზი ცნობილია. მაგრამ ობამა და სხვა მაღალჩინოსნები სულაც არ აპირებენ სხვისი დანთებული კოცონიდან შიშველი ხელ-

„მეგობარსა და პარტნიორ“ დიმიტრი მედევედეს ნებისმიერი სხვა ქვეყნის მეთაურზე ბევრჯერ მეტად და მასთან ხშირად ურთიერთობს“. ის დროა, რომ ობამაც იმ მოლაღატეთა სიაში ჩაენეროთ, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებას რუსეთის ხელმძღვანელობასთან კონტაქტის გამო კრემლის აგენტებად და საქართველოს მტრებად შიშვან გამოცხადებულა.





















# ბრილანტი მოსკოვთან

ადოლფ ჰიტლერი სსრ კავშირის დედაქალაქისა და ყველაზე დიდი საბჭოთა ქალაქის — მოსკოვის აღებას „ბარბაროსას გეგმის“ ერთ-ერთ უმთავრეს სამხედრო და პოლიტიკურ მიზნად განიხილავდა. გერმანულ და დასავლეთის ქვეყნების სამხედრო ისტორიაში მოსკოვის აღება „ოპერაცია ტაიფუნის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

ბლიცკრიგის თავდაპირველი გეგმა („ბარბაროსას ოპერაცია“) მოსკოვის აღებას ომის პირველ სამ-ოთხ თვეში ითვალისწინებდა. მიუხედავად გერმანეთის წარმატებებისა ომის პირველ თვეებში, საბჭოთა ჯარების მძლავრმა წინააღმდეგობამ მის განხორციელებას ხელი შეუშალა. კერძოდ, სმოლენსკისათვის ბრძოლა (1941 წლის 10 ივლისი-10 სექტემბერი) გერმანიის იერიში მოსკოვზე ორი თვით შეაფერხა.

ოქტომბერს მე-17 სატანკო დივიზიამ — ბრიანსკი, ხოლო მე-18 სატანკო დივიზიამ კარაჩაევი დაიკავა და ბრიანსკის ფრონტის ძალებს გზა მოუჭრა. ფრონტის ხელმძღვანელი ა. ერემენკო იძულებული გახდა „ამოტრიალებული ფრონტის“ ბრძოლებს გამართვის ბრძანება გაეცა. ბრიანსკის ალყაში აღმოჩნდნენ მე-3, მე-13, მე-15 საბჭოთა არმიები: 27 დივიზია, 2 სატანკო ბრიგადა, 19 საარტილერიო პოლკი. ალყის გარღვევის მცდელობას ეროვნულ კოდაცხრა და სპეციალური თვითმფრინავით მოსკოვში გადაიყვანეს.

გერმანულმა ჯარებმა საბჭოთა თავდაცვის ფრონტი გაარღვიეს და 4 ოქტომბერს დაიკავეს სპას-დემენსკი და კიროვი, 5 ოქტომბერს — ოხნოვი. იმავე დღეს მოწინააღმდეგე ვიწრო რაიონში შევიდა. ალყაში მოექცა 37 საბჭოთა დივიზია, 9 სატანკო ბრიგადა, 31 საარტილერიო პოლკი. 11 ოქტომბრამდე საბჭოთა ჯარები ალყის გარღვევას ლაშობდნენ, მაგრამ იქიდან გამოიწვეა მხოლოდ 8 ათასმა კაცმა შეძლო. ვიწრო და ბრიანსკთან ტყვედ ჩავარდა 688 ათასზე მეტი საბჭოთა ჯარისკაცი და ოფიცერი. ვიწროს ქვაბურში დაატყვევეს მე-19 არმიის მეთაური, გენერალ-ლეიტენანტი მ. ლუკინი და 32-ე არმიის მეთაური, გენერალ-მაიორი ს. ვიშნევსკი.

ვიწროსა და ბრიანსკის რაიონში სამხედრო მოქმედებათა წარუმატებელმა განვითარებამ დიდი საფრთხე შეუქმნა მოსკოვს. დასავლეთის მიმართულების ჯარების ხელმძღვანელობის გაერთიანების მიზნით, სარეზერვო ფრონტის დარჩენილი ჯარები 10 ოქტომბერს დასავლეთის ფრონტის შემადგენლობაში გადაიყვანეს და მეთაურად არმიის გენერალი გ. შუკოვი დაუნიშნეს. 12 ოქტომბერს დასავლეთის ფრონტს დაუქვემდებარეს მოსკოვის თავდაცვის ხაზის ჯარები, დასავლეთის ფრონტის ჯარები კვლავ მძიმე მდგომარეობაში რჩებოდნენ: მოსკოვის ზღვიდან (ივანოვოს წყალსაცავიდან) კალუგამდე ფრონტის შემადგენლობა მხოლოდ 90 ათას კაცს ითვლიდა. ამ პირობებში ფრონტის სარდლობა ცდილობდა მოსკოვისკენ



მარშალი შუკოვი



წომაგზის ყინვაგზი



მოსკოვის მისაღობა

მიმავალი გზები — ვოლოკო-ლამსკის, მოჟისკის, მალიო-აროსლავცისა და კალუგის მიმართულებები გადაეკეტა. 13 ოქტომბერს დაეცა კალუგა, 16 ოქტომბერს — ბოროვო, 18 ოქტომბერს — მოჟისკი და მალიოაროსლავცე. მოწინააღმდეგის შეჩერება მხოლოდ მდინარე პროტავსა და ნარას მიჯნაზე მოხერხდა. 16 ოქტომბერს დაიწყო ვერ-მანტის გენერალური შეტევა ვოლოკოლამსკის მიმართულებით. მიუხედავად საბჭოთა ჯარების თავგანწირული წინააღმდეგობისა, 1941 წლის ოქტომბრის ბოლოს გერმანიის მე-4 არმიისა და მეოთხე სატანკო ჯგუფის ჯარებმა დასავლეთის ფრონტის მთელ ხაზზე საბჭოთა დაჯგუფებებს ნელ-ნელა უკან, მოსკოვისკენ დაახევინეს. ოქტომბრის ბოლოს ბრძოლები უკვე დედაქალაქიდან 80-100 კმ-ში მიმდინარეობდა.

15 ოქტომბერს სსრკ-ის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მოსკოვის ევაკუაციის გადაწყვეტილება მიიღო. მეორე დღესვე დაიწყო გენერალის, სამხედრო საკადემიის, სახალხო კომისარიატებისა და სხვა დაწესებულებების ევაკუაცია მოსკოვიდან კუბინსკისა და სარატოვში; დაინაშნა ქარხნები, ელექტროსადგურები, ნიღბები. 16 ოქტომბერს ქალაქში პანიკა დაიწყო. 20 ოქტომბერს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მოსკოვსა და მიმდებარე რაიონებში საალყო მდგომარეობა შემოიღო. ამავდროულად გერმანიის მე-3 სატანკო ჯგუფი კალინინისკენ შებრუნდა და 14 ოქტომბერს აიღო კიდევ ქალაქი. ასეთი ქმედების ძირითადი ამოცანა მე-9 არმიისა და მე-3 სატანკო ჯგუფის ძალებით ახალი „ქვაბურის“ შექმნა იყო



1941 წლის 7 წომაგზის პარადი



ჯერ კაპირიდან გააძევეს, შემდეგ კი სანყის პოზიციებზე დააბრუნეს.

1 დეკემბერს არმია „ცენტრის“ დაჯგუფებამ ხელახლა სცადა მოსკოვისკენ გაჭრა არალევიკის რაიონში, მაგრამ ეს მცდელობაც მარცხით დასრულდა. გენერალ მ. ეფრემოვის 33-ე არმიამ პოზიციები შეინარჩუნა. 2 დეკემბერს პირველი მოიერიშე მე-20 არმიის მოწინააღმდეგე ნაწილებმა მოსკოვის ჩრდილოეთით, დიმიტროვის რაიონში მოწინააღმდეგის ყველა შეტევა მოიგერიეს და აიძულეს, შეტევა შეეწყვიტა. 3-5 დეკემბერს პირველმა მოიერიშე და მე-20 არმიებმა რამდენიმე ძლიერი კონტრშეტევა განახორციელეს იახრომისა და კრასნაია პოლიანას რაიონში და მტერი შეაპინროვეს. მე-16 არმიის მარცხენა ფლანგის დივიზიებმა მე-5 არმიასთან ერთად მოწინააღმდეგე მდინარე მოსკოვის განსტოვებებიდან ზეენიგოროდის ჩრდილო-აღმოსავლეთით გადაისროლა.

მოსკოვის ბრძოლის თავდაცვითი ეტაპის მიმდინარეობისას საბჭოთა სარდლობამ მოწინააღმდეგეს თავს მოახვია „გამოფიტვამდე ბრძოლა“, როცა ბრძოლაში ერთვება უკანასკნელი ბატალიონი, რომელმაც მისი ბედი უნდა გადაწყვიტოს და თუ ორთაბრძოლებისას გერმანული სარდლობის ყველა რეზერვი ამოიწურა, საბჭოთა სარდლობამ ძირითადი ძალების შენარჩუნება შეძლო (სტრატეგიული ბრძოლებში მხოლოდ პირველი დამრტყმელი და მე-20 არმიები ჩართეს).

გერმანიის მე-2 სატანკო არმიის სარდლობა გუდერიანმა თავის რეზიუმეში ჩაწერა: „მოსკოვზე იერიში ჩაიშალა. ჩვენი მამაცი ჯარების ყველა ძალისხმევა და მსხვერპლი ამაო გამოდგა. ჩვენი სერიოზული მარცხი განვიცადეთ, რომელმაც უმადლესი მთავარსარდლობის სიჯიუტე გამო საბუნდობლო შედეგებამდე მიგვიყვანა... გერმანული არმიის ძალები და მორალური სულიცკვეთება განადგურდა“.

5 დეკემბერს კალინინის ფრონტის ჯარები (გენერალ-პოლკოვნიკი ს. კონევი), ხოლო 6 დეკემბერს დასავლეთის (არმიის გენერალი გ. შუკოვი) და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტების (მარშალი ს. ტიმოშენკო) მარჯვენა ფრთები კონტრიერიშზე გადავიდნენ. ამ დროისათვის საბჭოთა ჯარები 1 მლნ ჯარისკაცსა და ოფიცერზე მეტს ითვლიდა. მოსკოვთან საბჭოთა კონტრიერიშის მიმდინარეობისას განხორციელდა კალინინის, კლინსკო-სოლნეჩნოვოსკის, ნაროფომინო-ბოროვის, ელვის, ტულის, კალუგისა და ბელეგო-კოხელის მოიერიშე ოპერაციებიც.

19 დეკემბერს მოსკოვიდან უკან დახევის შემდეგ, სახელმწიფო ჯარების მთავარსარდლის თანამდებობიდან გადააყენეს გენერალ-ფელდმარშალი ფონ ბრაუზიჩი, არმიის სარდლობა თავად ჰიტლერმა ჩაიბარა. იმავე დღეს გენერალ-ფელდმარშალი ფონ ბოკი არმია „ცენტრის“ დაჯგუფების ხელმძღვანელის პოსტიდან გაათავისუფლეს და მის ადგილზე მე-4 არმიის სარდალი, გენერალ-ფელდმარშალი ფონ კლიუგე დანიშნეს. საბჭოთა ჯარების მიერ განხორციელებული კონტრიერიშის შედეგად გერმანიის ჯარები 100-250 კმ-ზე იქნა გადასროლილი და მთლიანად გაათავისუფლდა ტულის, რიანისა და მოსკოვის ოლქები.








# ბენეკალი პეტრე ბაგრატიონი

სახელგანთქმული მხედართმთავარი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი, საქართველოს სამეფო გვარეულობის შთამომავალი, დაიბადა 1765 წელს ყიზლარში. 17 წლის ასაკში ის სამხედრო სამსახურში შევიდა და მთელი სიცოცხლე მას შესწირა. ჩვენ არ ვეხებით ბაგრატიონის მოღვაწეობის ყველა პერიოდს, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ იგი, მოყოლებული XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან, მონაწილეობდა რუსეთის ყველა ომში და უბადლო გმირობით უკვდავო თავისი სახელი და დიდება დაიმსახურა. პეტრე ბაგრატიონის განსაკუთრებული მხედართმთავრული ნიჭი ერთხელ კიდევ გამოვლინდა 1812 წელს, რუსეთის სამამულო ომში.

ომის მოახლოებამ რუსეთის სამხედრო წრეები შედარებით ადრე აამოქმედა. ომისათვის მზადების პროცესში იმპერატორმა და უმაღლესმა სარდლობამ განიხილეს საომარი მოქმედების წარმართვის სხვადასხვა გეგმა. გეგმა წარმოადგინა ბაგრატიონმაც. მან თავისი მოსაზრებები მომავალი ომის ხასიათსა და მსვლელობაზე ჩამოაყალიბა სპეციალურ გეგმა-წერილობა იმპერატორს და პეტრე I-ის სახელზე. გეგმის ძირითადი იდეა შეტევა იმის წარმოება იყო.

ბაგრატიონის აზრით, რუსეთი არ უნდა დალოდებოდეს მტრის თავდასხმას, არამედ თვითონ დაეწყო ომი, ვიდრე მოწინააღმდეგე მის საზღვრებთან ძალებს შეაგროვებდა და გაეშალა აქტიური საომარი მოქმედება საფრან-

გეთის მოკავშირე ქვეყნების (პოლონეთი, პრუსია, ავსტრია) ტერიტორიაზე. „ამრიგად, — წერდა ბაგრატიონი, — მიმაჩნია რა ომი არა მარტო გარდუვალად, არამედ აუცილებლად რუსეთის უსაფრთხოებისა და მისი წმიდანთა მიმართ უფლებების დასაცავად, მე მგონია, რომ ამ შემთხვევაში უმთავრესია, ერთი მხრივ, თავი დავიზღვიოთ მოულოდნელი თავდასხმისაგან, ხოლო მეორე მხრივ, — მოვიგოთ დრო, სულ ცოტა ექვსი კვირა მაინც, რათა მივაყენოთ პირველი დარტყმები და ვანარმოოთ შეტევა და არა თავდაცვითი ომი“. მოულოდნელად დაწყებული ომი, ჯარების სწრაფი გადაადგილება და ამით მიღწეული წარმატებები, ბაგრატიონის აზრით, დააბნევედა მო-



წინააღმდეგე, შეიტანდა მის რიგებში არე-დარევის და, რაც მთავარია, ჩამოაცილებდა მას მოკავშირეებს — ავსტრიასა და პრუსიას, გაანეიტრალებდა პოლონეთს.

მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატიონის გეგმას ბევრი დადებითი მხარე ჰქონდა, რომელთა განხორციელებას დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო, ალექსანდრე პირველმა უარყო იგი და უპირატესობა გენერალ ფულის გეგმას მიანიჭა.

გენერალი კარლ-ლუდვიგ-ავგუსტ ფონ-ფული იმპერატორის ახლომყოფთაგან ყვე-

ლაზე უნიჭო და კურიოზული ფიგურა იყო. ეს თავის თავში ჩაკეტილი, გარე სამყაროს მთლიანად მოწყვეტილი ადამიანი მხოლოდ თეორიას სცნობდა და წარმოუდგენლად სძულდა პრაქტიკა. მისთვის მთავარი იყო ომის ძირითადი ეტაპების ქაღალდზე გადატანა. იგი სრულიად არ ფიქრობდა იმაზე, თუ რა წინააღმდეგობები შეიძლება აღმართულიყო კაბინეტში შემუშავებული გეგმის წინ, შეიძლება თუ არა ამ გეგმის განხორციელება. ეს საკითხი მას სრულიად არ ანუხებდა. ცნობილია, რომ ფულმა თავისი სამშობლო — პრუსია ნაპეტატროვად მიიყვანა, რის შემდეგ იძულებული გახდა გადახვეწილიყო რუსეთში, სადაც 1806 წელს იგი დიდი პატივით მიიღო თვით იმპერატორმა. ალექსანდრე I-ს ოდნავ რომ ჰქონდა ადამიანების გამოცნობის უნარი, ცხადია, ახლოსაც არ გაიკარებდა სამშობლოს მოლაღატესა და უნიჭო პრუსიელ გენერალს. მან კი არა მარტო მიიღო იგი, არამედ უსაზღვრო ნდობაც გამოუცხადა, როდესაც მის მიერ შედგენილი საომარი მოქმედების გეგმა მიიღო.

ამ გეგმის ყველაზე სუსტ მხარეს რუსეთის ჯარების სამ ნაწილად დაყოფა წარმოადგენდა, რაც მაქსიმალურად გამოიყენა ნაპოლეონმა. მან ყველაფერი იღონა იმისათვის, რათა არ დაეშვა დაქუცმაცებული ძალების შეერთება. არანაკლებ დამლუპველი იყო გენერალ ფულის წინააღმდეგობით საზღვრის გადაჭრის და 150 კილომეტრის დაშორებით დრისას გამაგრებული ბანაკის მოწყობა. არც ადგილმდებარეობით, არც შესრულებული სამუშაოების ხარისხით და არც რიგითი სხვა თვალსაზრისით ეს ბანაკი არ შეიძლება ყოფილიყო ჯარების თავმოყრისა და მტრისთვის პირველი სერიოზული წინააღმდეგობის განწევის საიმედო სიმაგრე. მისი ადგილის შემდეგ, რაც აღნიშნული მიზეზების გამო არც ისე ძნელი იყო, ნაპოლეონს გზა ეხსნებოდა იმპერიის ორივე დედაქალაქისაკენ — მოსკოვისა და პეტერბურგისაკენ. სწორედ ამაში ხედავდნენ სამხედრო სპეციალისტები დრისას გამაგრებული ბანაკის უვარგისობას. ისინი პირდაპირ ეუბნებოდნენ იმპერატორს, რომ დრი-

საზე პოზიციის მოწყობის იდეა შეეძლო თავში მოსვლოდა ან გიუს, ან სამშობლოს მოლაღატეს და რომ საჭირო დაუყოვნებლივ მასზე უარის თქმა. რუსეთისათვის, რომელსაც მტრის 600-ათასიანი არმიის წინააღმდეგ შეეძლო მხოლოდ 200 ათასზე ოდნავ მეტი ჯარისკაცის გამოყვანა, სრულებით არ იყო ხელსაყრელი საზღვარზე, დრისას ბანაკთან გენერალურ ბრძოლაში ჩაბმა, როგორც ეს ფულის გეგმით იყო გათვალისწინებული. მაგრამ ალექსანდრე I გადაუტყდა, ყურად არ იღო ეს გაფრთხილება, დამტკიცა პრუსიელი გენერლის დამლუპველი გეგმა და შეუდგა მის მიხედვით მზადებას საომარი მოქმედებისათვის.

ამ „ბრძნული“ გეგმის შესაბამისად, როგორც უკვე ვთქვით, რუსეთის შეიარაღებული ძალები სამ არმიად დაიყო. პირველი არმია, რომელიც თავის შემადგენლობაში 120 ათას კაცს ითვლიდა, მდინარე ნემანზე იყო განლაგებული და მთავარი შტაბი ვილნოში ჰქონდა. მისი სარდალი გენერალი ბარკლაი დე ტოლი იყო. მეორე არმია, რომლის სარდალი პეტრე ბაგრატიონი იყო, 40 ათასამდე კაცს ითვლიდა, იდგა სამხრეთ ლიტვაში, ხოლო მთავარი შტაბი ვოლოკისკი ჰქონდა. მესამე, ევროპული წარმოშობის არმია, დაახლოებით 46 ათასი მებრძოლისაგან შედგებოდა, მისი სარდალი იყო გენერალი ტორმასოვი. ეს არმია დაბანაკებული იყო ვოლინის მხარეში მთავარი შტაბით — ქ. ლუცკში. პირველივე წარუმატებლობის შემთხვევაში ბარკლაის არმიის დრისას ბანაკისაკენ უნდა დაეხია და იქ ჩაბმულიყო გენერალურ ბრძოლაში, რომელიც მისთვის არსებითად დამლუპველი იქნებოდა. რაც შეეხება მეორე არმიას, მას ამ დროს უნდა ემოქმედა მოწინააღმდეგის ფლანგებსა და ზურგში.

დასასრული შავაფა ნომერი



ისტორიული მემკვიდრეობა №4  
საქართველო  
ბაგრატიონი და კუტუზოვი  
საქართველოს სამხედრო სამსახურში შევიდა და მთელი სიცოცხლე მას შესწირა.

გამოვიდა საბუნდოვანო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეექვსე ნომერი  
ჟურნალი დღევანდელი აქტიური საკითხებსა და ეხმარება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცელად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც «ისტორიული მემკვიდრეობის» ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიტყვევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან «ისტორიული მემკვიდრეობა» საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს. ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.

არასამთავრობო ორგანიზაცია — «ისტორიული მემკვიდრეობა» — გამოსცა ისტორიული ღრუბრების კრებული სერიის, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უნივერსალურ ნაშრომებს მოქმედებს. კრებული გამოცემულია გვირგვინითა და უარყოფითი კონტრასტით. კრებული კონსტრუქციისაა და მხოლოდ ისტორიულ ფაქტებსა და დასაზღვევს ნაშრომს სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით განიჭობის მხარე და სპიხ ტენდენციას, გამოვივა ფრიალ დროულ და აქტუალურია. მსურველებს კრებულის შექმნის შუამდგომლობა გაუწიონ. დაგვატეხით ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 38-41-97.

გზურთ, გაგზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგზიარეთ: 38-41-97, ან მოგზიარეთ: info@geworld.net

**საქართველო**

# 10 ყველაზე ახალგაზრდა და წარმატებული ბიზნესმენი

ჟურნალმა CEO-მ გამოაქვეყნა თანამედროვეობის ყველაზე ახალგაზრდა და ცნობილ ბიზნესმენტა სია. რეიტინგში მოხვდნენ მხოლოდ ის ბიზნესმენები, რომლებმაც დამოუკიდებლად შექმნეს თავიანთი ბიზნესი 30 წლის ასაკამდე. საგულისხმოა, რომ ათეულის თითქმის ყველა წევრმა წარმატებას ინტერნეტისა და მაღალი ტექნოლოგიების წყალობით მიაღწია. მათი ინოვაციები და ბიზნესგადაწყვეტილებები კი ახლა მთელ მსოფლიოში გამოიყენება.



**პირველი** ადგილი უკავია 24 წლის ამერიკელი მეთმულენეგს, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული უფასო ბლოგების სერვისის — **WordPress**-ის შემქმნელს. მეტმა WordPress-ზე მუშაობა 19 წლისამ დაიწყო. თავისუფალ დროს წარმატებული ბიზნესმენი საქსოფონზე უკრავს.



მისამაი პოპულარული 18 წლის ამერიკელი **ქუოლზს** უკავია, რომელმაც 15 წლის ასაკში შექმნა საიტის გოგონებისთვის — **What-everlife.com**.




ჩამონათვალიში მესამე ადგილზე მოხვდა 31 წლის ამერიკელი **ჩად შერლი**, ვიდეო **YouTube**-ს სერვისის შემქმნელი, რომელმაც თავისი პირველი Google-ს 1.65 მლრდ დოლარად მიჰყიდა, მაგრამ დღემდე კურირებს.




მეოთხე ადგილი დაიკავა 30 წლის ინგლისელი **ენდრიუ გოვერმა**, რომელმაც ჯერ კიდევ კემბრიჯში სწავლისას გამოიგონა თამაში **RuneScape**. მილიონობით გემერი მთელ მსოფლიოში თავგანწირვით ებრძვის გოლინებსა და ათასი ჯურის უწმინდურებს, ხოლო თამაშის რეგულარული განახლებები მათ იარაღის დაყრის საშუალებას არ აძლევს.




მეორე ადგილზე უდიდესი სოციალური ქსელის — **Facebook**-ის შემქმნელი და მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერი, 23 წლის ამერიკელი **მარკ ცუკენბერგი**. ჟურნალმა „ფორბსმა“ მისი ქონება 1.5 მლრდ დოლარად შეაფასა.



ნუსხაში მესამე ადგილზეა 22 წლის ინდოელი **სუჰას გოპინატი**, რომელმაც 14 წლისამ დააარსა კომპანია **Globals Inc** და გინესის რეკორდების წიგნშიც მოხვდა. ახლა ის 11 ქვეყანაში არსებულ ოფისებს ხელმძღვანელობს.



მეექვსე ადგილი ერგო 19 წლის ინგლისელი **ტომ თერლოუს**, რომელმაც ჯერ კიდევ მოწაფეობისას დააარსა საბავშვო ნივთების სავაჭრო კომპანია **Epi-culture**, რომელიც გამოსაწერ გამოცემებზეა სპეციალიზებული; ვაჭრობდა „პარი პოტერიითაც.“




მეცხრე პოპულარულია 27 წლის ამერიკელი **ნოა გლასი**, რომელმაც თავის დროზე რესტორნებში რიგში დგომა მოუხერხა და მობილური ტელეფონებით შეკვეთების სერვისი შექმნა. ახლა ეს სისტემა მთელ მსოფლიოში გავრცელებულია.

## უჩვეულო მეტრო



სტოკჰოლმის მეტროს მსოფლიოში ყველაზე გრძელ სამხატვრო გალერეას უწოდებენ. 100 მეტროსადგურიდან 90 ტურისტებს საშუალებას აძლევს, ხელოვნების სხვადასხვა სახეობისა და მიმართულების წარმომადგენელთა შემოქმედებას გაეცნოს. აქ ნახავთ ზღაპრულ გროტებსაც (ზევრი სადგური კლდეშია ნაკვეთი) და ქანდაკებებსაც, კლასიკური არქიტექტურის კუთხეებსაც და კედლის რელიეფებსაც, მოზაიკებს, გრაფიკისა და ვიდეოინსტალაციებსაც კი. მეტროში ხშირად ეწყობა გამოფენები, სტოკჰოლმის მეტროს თავის ნამუშევრებს რამდენიმე ასეული მხატვარი აწვდის. უწინ სახელმწიფო ამ მინისქვეშა გალერეაში ყოველწლიურად 1.5 მლნ დოლარის ინვესტიციას აკეთებდა.

## ყველაზე მაღალი მოდელი



კაროლინა ველცი მსოფლიოში ყველაზე მაღალი მოდელია. ნებისმიერ სტანდარტულ კარში შესვლისას მას მოხრა უხდება, ჩვეულებრივ მანქანაში ძლივს ეტევა, ხოლო სტანდარტული დივანი მისთვის მეტისმეტად პატარაა. ამიტომაც კაროლინა სპეციალურ ავეჯს იყენებს და სამოსსაც უკვეთავს. ველცი გერმანიაში, ქალაქ კელნში დაიბადა 1986 წლის 6 ივლისს. მისი სიმაღლე 2 მ და 6 სმ-ია, ხოლო ფეხების სიგრძე 1 მ-სა და 30 სმ-ს აღწევს. ქალიშვილი 117 კგ-ს იწონის.

## ყველაზე იდეალური ადგილი



პლანეტის ყველაზე იდეალური ადგილი კალიფორნიაში მდებარეობს — აქ არ მოქმედებს ფიზიკის კანონები. ბურთები ქვევით კი არა, ზევით მიგორავენ, საგნები, რომლებიც ვერტიკალურ მდგომარეობაში უნდა იდგეს, იხრება, ხოლო ადამიანებს კედლებზე სიარული შეუძლიათ. ამბობენ, რომ ეს ადგილი ინდიელებმა, ოლონის ტომის მებრძოლებმა, აღმოაჩინეს და აქ მისტიკური რიტუალებსაც მართავდნენ. აქ, რამდენიც უნდა იწვავო, სწორად ვერ დადგები, უთუოდ მიწისკენ გადაიხრები. ამასთან, აქ უფრო დაბალი ან უფრო მაღალი ჩანხარ, ვიდრე სინამდვილეში ხარ. საყოველთაო მიზიდულობის კანონიც თავისებურად მოქმედებს. ამ იდეალურ ტყეში ხშირად ჩამოდიან მეცნიერები, უამრავ ვერსიასაც განიხილავენ, მაგრამ აქაურ მოვლენებს ახსნას მაინც ვერ უძებნიან.



## ქალური სივი იარაღი

ფიქრობთ, რომ ის მსუბუქი, კომპაქტური და ნამდვილად ქალურია? სულაც არა, ნაგინატა ბასრიანი ორმეტრიანი კეტი, რომელიც ტრადიციულ იაპონურ სმალს ჩამოჰგავს. თუმცა არა, ხმალი უფროა, რომელსაც ძალიან გრძელი ტარი აქვს. ბასრი პირის სიგრძე 30-60 სმ-ია (ძველ დროში 1.5 მ-საც აღწევდა) და სამართებელზე მჭრელია. ამიტომ სპეციალური ქარქაშიც აქვს. ტარის მეორე ბოლოზე ე. წ. იშიზუკი მაგრდება, რაც ბრძოლის დროს იარაღის ოპტიმალურად გამოყენების საშუალებას იძლევა. რასაკვირველია, ნაგინატა ყოველთვის არ ყოფილა ქალის იარაღი. იაპონიაში იგი ჩინეთიდან მოხვდა (ჩინეთში ამგვარ იარაღს დააო ეწოდებოდა) და ქვეყნის კულტურული ტრადიციების შესატყვისად შეიცვალა. ნაგინატა უნივერსალური იარაღია, რადგან ხმლის, შუბისა და ლატა-ნის უპირატესობებს ითავსებს. ძალიან ეფექტურია ერთდროულად რამდენიმე მონინალმდეგესთან საბრძოლველად. სამურაების ცოლები და ქალიშვილები ნაგინატათი ვარჯიშს იმდენსავე დროს უთმობდნენ, რამდენსაც მათი ქმრები და ძმები — ხმლით ვარჯიშს. ნაგინატა-ძიუცუს (ნაგინატათი ბრძოლის) უნარ-ჩვევების დროს იარაღის იოლად უმკლავდებოდა სახლში შემოჭრილ თავზეხელაღებული ბანდას. ნაგინატა-დო, ალბათ, ერთადერთი თანამედროვე სპორტული ორიბრძოლაა, რომელშიც, ძირითადად, ქალები მონაწილეობენ.

## უხანური ეკლესია



ეს კათოლიკური ეკლესია გერმანიაში, სოფელ ტრუტციანში მდებარეობს. ის ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკია, სადაც ამჟამად უმთავრესად მიგრანტები ცხოვრობენ. სოფელში რამდენიმე პატარა ფაბრიკა-სახელოსნო, კაფე, ბუხრების მაღაზია და ეს ეკლესია, რომელიც ომის შემდგომ აშენდა და არავითარ საეკლესიო კანონიკს არ შეესატყვისება. ნაგებობის ფორმა მინიერი ცხოვრების წარმავლობას უსვამს ხაზს, ხოლო კედლებზე, ქრისტეს ფრესკების გვერდით გამოსახულია ბორკილები და საზარელი ელექტროსკამები.

## უდიდესი სარკე — უიუნის ტბა



ზღვის დონიდან 3650 მ-ზე, ბოლივიაში, ალტიპლანოს გაუკაცრიელებულ დაბლობზე მდებარეობს უიუნის დამშრალი ტბა, რომლის ფართობი 10.582 კვ.მ-ს შეადგენს და მსოფლიოში ყველაზე მლაშეა. მისი შიდა ნაწილი 2-8 მ სისქის საკვები მარილის ფენისგან შედგება. წვიმების სეზონზე მლაშობი წყლის თხელი ფენით იფარება და მსოფლიოში უდიდეს სარკედ გადაიქცევა, რომელიც სამხრეთ ამერიკის ლაჟვარდოვან ცას ირეკლავს...



ზოგიერთის შეფასებით, უიუნის მლაშობი 10 მლრდ ტონა მარილის მარაგს შეიცავს, საიდანაც ყოველწლიურად 25 ათას ტონა მარილს მოიპოვებენ. განვითარებული ტურიზმის წყალობით, უიუნის მლაშობზე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მარილის ბლოკებისგან ოცობების მშენებლობა დაიწყეს. ყოველწლიურად აქ გასამრავლებლად სამხრეთამერიკული ფლამინგოს სამი სახეობის წარმომადგენელი — ჩილიური, ანდებისა და ჯეიმსის ფლამინგოები მოფრინავენ.

# განსაკუთრებით უჩვეულო შენობები




La Pedrera, ბარსელონა, ესპანეთი



Turning Torso, მალმო, შვედეთი




Burj al Arab, დუბაი, არაბთა გაერთიანებული საამიროები



The Wave Tower, დუბაი, არაბთა გაერთიანებული საამიროები




Raffles Dubai in Wafi city, დუბაი, არაბთა გაერთიანებული საამიროები



Eden project, დიდი ბრიტანეთი



Hallgrimur, რეიკიავიკი, ისლანდია



Tate Modern Addition, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი.



The Museum of Play, როჩესტერი, ნიუ იორკის შტატი, აშშ

## ყველაზე უჩვეულო აღსასრული

ჩვ. წ. აღ.-მდე 270 წელს, ლიარის პარადოქსის გამოყვანისას, პოეტი **ფილეტასი** უძილობით გარდაიცვალა; ჩვ. წ. აღ.-მდე 207 წელს ბერძენი ფილოსოფოსი **ქრისიპე** სიცილით მოკვდა იმის ცქერისას, თუ როგორ ჭამდა მისი მთვრალი სახედარი ლელვს; 1277 წელს **პაპი იოანე XXI** თავისი სამეცნიერო ლაბორატორიის ნანგრევებში დაიღუპა;



პაპი იოანე XXI

1478 წელს კლარენსის პერცოგი **ჯორჯ პლანტაგენეტი** სიკვდილით დასაჯეს — ღვინით სავსე კასრში დაახრჩვეს; 1671 წელს **ლუდოვიკო XIV მზარეულმა** თავი მოიკლა იმის გამო, რომ სამეფო სუფრაზე თევზის მიტანა დაავიანა; 1850 წელს აშშ-ის მეტორმეტე პრეზიდენტმა **ზაქარი ტელიორმა** 4 ივლისის დღესასწაულის შემდეგ ძალიან ბევრი ნაყინი მიირთვა და სიამაღლით გარდაიცვალა;

1884 წელს დეტექტივი **ალან პინკერტონი** განგრენით გარდაიცვალა მას შემდეგ, რაც ტროტუარზე წაქცევისას ენის წვერი მოიკვნიტა;

1927 წელს მოცეკვავე **აისიდორა დუნკანი** საკუთარმა ყელსახვევმა დაახრჩო, როცა მანქანიდან გადმოსვლისას ყელსახვევის წვერი ბორბალში მოყვა;



აისიდორა დუნკანი

1941 წელს მწერალ **შერვუდ ანდერსონს** კბილების სანმენდი ჩხირი გადაეყლაპა და მუცლის ღრუს ანთებით მოკვდა;

1943 წელს კრიტიკოსი **ალექსანდრ ვულკოტი** ადოლფ ჰიტლერის გაკიცხვისას გულის შეტევით გარდაიცვალა;

1944 წელს გამომგონებელი და ქიმიკოსი **თომას მიდგლი** შემთხვევით გაიგუდა მისსავე შექმნილი მექანი-

კური სანოლის კონსტრუქციისა;

1993 წელს **ბრუს ლის** ვაჟი **ბრენდონ ლი** ფილმ „ყვავის“ გადაღებისას შემთხვევით მოკლეს. არავინ იცოდა, რომ პისტოლეტში ფუჭ ვაზნებთან ერთად ერთი ნამდვილი იდო;

2003 წელს ამერიკელი ზოოლოგი **ტიმოთი ტრედველი**, რომელმაც 13 წელი ალასკაზე თეთრ დათვებთან გაატარა, ერთმა მათგანმა შეჭამა...

## ყველაზე უჩვეულო სსტუმრობები

ჟურნალმა „ფორბსმა“ გამოაქვეყნა აშშ-ის ყველაზე უჩვეულო სასტუმროების ნუსხა. რეიტინგის სათავეში სასტუმრო Dog Bark Park Inn-ი აღმოჩნდა, რომელიც აიდაპოს შტატში მდებარეობს. ამ ოტელში სტუმრებს ხის გიგანტურ ძაღლში შეუძლიათ დაბინავდნენ, ხოლო არკანზასის შტატში სტუმრებს საშუალება აქვთ, ღამე ბუნჯალოში გაათიონ, რომელიც კატების ოჯახის მორბილი ნარმოდგენლებისთვის ლომების, ვეფხვებისა და ლეოპარდებისთვის გათვალისწინებული საშენის ტერიტორიაზე მდებარეობს. ფლორიდის შტატში მდებარე ოტელის ნომრები კი წყალქვეშ, 6.5 მ-ის სიღრმეშია განთავსებული. ამიტომ სტუმრები იქ აკვალანგებით ჩადიან.



კონექტიკუტის შტატის სასტუმროში სტუმრებს 18 სხვადასხვაგვარ კოტეჯს, მათ შორის, ხეზე განთავსებულ სახლსა და შვეულმფრენისგან გაკეთებულ ოთახს სთავაზობენ. Liberty Hotel ბოსტონში, ციხის ყოფილ შენობაშია განთავსებული.





# ბეზეკი

ეკოლოგიურად სუფთა, ქართული წარმოების პროდუქტი დიდ იშვიათობად იქცა. ამჟერად მკითხველს ვთავაზობთ საქართველოში ერთ-ერთ (თუ არა ერთადერთ, რადგანაც მისი ანალოგი ჯერ ვერ მოვიძიეთ) საუკეთესო ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა ქართული ფქვილისაგან წარმოებულ პროდუქტს, ვიტამინებისა და ყოველგვარი დანამატების გარეშე. შპს „ბეზეკი“ პროდუქცია უნიკალურია, ერთადერთია და მისი ყველა სახეობა — დაპატენტებული. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო. ნელსაც, აპრილის თვეში, მიიღო სერტიფიკატი ნომინაციაში „ღამზადეპულია თბილისში“. ხოლო ამ კომპანიის „რუს პურს“ მიღებული აქვს ხარისხის სერტიფიკატი — „საქართველოს ხარისხის ნიშნის ფონდისაგან“.

ამჟერად, მკითხველს ვთავაზობთ ამ კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქტის რამდენიმე სახეობის მოკლე დახასიათებას, რათა ვიცოდეთ, რას მივირთმევთ.

**პური მდოგვიით** — ამ პროდუქტის წარმოებაში გამოყენებულია დაპატენტებული ტექნოლოგიური სიახლენი, რაც ძირითადად განასხვავებს მას სხვა ქვეყნებში წარმოებული ანალოგიურ პროდუქტისაგან, სადაც გამოიყენება მდოგვის ცხიმოვანი ზეთი. **მდოგვიან პურში** კი დამატებით შეტანილია ორგანული იოდის დონორი — ზღვის კომბოსტოს (ლამინარიის) ფხვნილი ან კონცენტრატი, ბიოლოგიურად აქტიური კომპლექსით (მაკრო და მიკროელემენტები, სტერინები, ქლოროფილის წარმოებულები და სხვა) პური ახდენს პირის ღრუსა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დეზინფიცირებას, სასარგებლოა დიეტის მიმდევართა და იმ პირთათვის, რომლებიც უჩივიან დიაბეტს, ნაწლავთა დისბაქტერიოზსა და აქვთ ნინამდებარე ჯირკვლის (პროსტატის) ადენომას საწყისი სტადია. მდოგვიან პურს აქვს პიკანტური გემო და მისაღებია ბუტერბროდების, ცივი საუზმეების, სენდვიჩების, პოთ-დოგებისა და სხვ. დასამზადებლად.



**პური „ცხვილი“** — დამზადებულია „ბეზეკის“ მიერ წარმოებული ფქვილისაგან, რომელიც მიღებულია 95%-იანი გამოსავლიანობით. ეს ტექნოლოგია გულისხმობს ხორბლის მასის ერთიან დაფქვას, რაც უზრუნველყოფს მის ნატურალურ ფერსა და გემოს. მისგან გამომცხვარი პური შეიცავს კვებით ბოჭკოებს: ცელულოზას, გემო-ცელულოზას, პროტოპექტინს და ლიგინინს, რომელიც აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის ნორმალურად მუშაობას და რეკომენდირებულია პროფ-ტოლოგიური დაავადების პროფილაქტიკისთვის.

**პური „თბილისური“** — დამზადებულია ხორბლის ცხვილი ფქვილის 70%-იანი და ხორბლის პირველი ხარისხის ფქვილის 30%-იანი ნარევისაგან, რომელიც წარმოადგენს შუალედურ ცხვილ ფქვილსა და მეორე ხარისხის ფქვილს შორის. პური „თბილისური“ აუმჯობესებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას. ის შეიცავს ხორბლის ქატოს და ჩანასახს, რომელიც მდიდარია სრულფასოვანი ცილებით, ვიტამინებითა და მინერალური ნივთიერებებით.



ახალი თაობის პური „პიკანტური“ დამზადებულია მცენარეული, დიეტური და ანტიდიაბეტური კომბინირებული საწვებოების დასამატებით. შავი პური „პიკანტური“ დამზადებულია ცხვილი ფქვილისაგან, რომელიც შეიცავს შაქრისდამწვევ მცენარეულ კომპონენტებს, რომლებიც ახდენენ ნახშირწყლების ათვისების ინჰიბირებას. შავი პური „პიკანტური“ სასარგებლოა იმ პირთათვის, რომლებიც უჩივიან დიაბეტს, სიმსუქნეს, ნაწლავურ დისბაქტერიოზსა და სხვა დაავადებებს.

1995 წლიდან საქართველოში შეწყდა და მივიწყებას მიეცა ცხვილი ფქვილის წარმოება, რომელიც შპს „ბეზეკმა“ აღადგინა 2007 წელს იგი დღემდე წარმატებით აწარმოებს ხორბლის ცხვილ ფქვილს სტანდარტების სრული შესაბამისობით.

**ფქვილის საშუალო ქიმიური შემადგენლობა: 100 გრ. ფქვილში არის ნახშირწყლები 60,8 გრ; მინერალური ნივთიერებები Na-7მგ; K-310მგ; Ca-39მგ; Mg-94მგ; P-336მგ; F-4,7მგ; ვიტამინები: B1-0,41მგ; B2-0,15მგ; Pp-5,5მგ; ბეტაკაროტინი-0,01მგ. ენერგეტიკული ღირებულება 298 კკალ. ცხვილი ფქვილი ასევე შეიცავს საკვებ ბოჭკო-ცელულოზას, გემო-ცელულოზას, პროტოპექტინს, ლიგინინს, რომლებიც ხელს უწყობს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნორმალურ მოქმედებასა და პროფ-ტოლოგიური დაავადების პროფილაქტიკას.**

**პროდუქცია შემუშავებულია: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო პრობლემურ ცენტრში.**

**მისამართი:**  
შპს ბეზეკი, თბილისი 0120,  
გ. ნადარეიშვილის №5;  
ტელ.: 71-70-11;  
ტელ/ფაქსი: 711710  
899-301-701 (რეალიზაციის განყოფილება)  
[www.bezeki.ge](http://www.bezeki.ge) info@bezeki.ge

## უნივერსალური წყალი „ისიდა“

### მათთვის, ვისთვისაც კვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

**კიოდი** — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

**F ფტორი** — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

**Mn მანგანუმი** — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულინარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

**Ca კალციუმი** — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

**K კალიუმი** — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

**Mg მაგნიუმი** — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

**Na ნატრიუმი** — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

**Zn თუთია** — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, არეგულირებს მონარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საბოლოო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამოწვლილია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსაკველავი დაკავშირებული თბილისში: 899-16-30-21.**  
**890-26-15-15 (ოფისი); რუსთაველი: 890-11-50-99; 895-91-24-14.**

## წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამკაქლო

ს.ს „გაბრთიანეპული ტალეკოში“ 602602  
შპს „ანტალი“ 700818  
შპს „გაბრთიკოში“ 200320  
შპს „ჯეოსელი“ 700305  
შპს „ბილიანი“ 200333

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტები:  
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი  
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით  
იხ. მენიუმი: სსპადასსპა — ძველმომქმედეა —  
წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ  
ფონდის დირექტორს,  
დეკანოზს თევდორე ბასილიანას:  
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,  
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,  
e-mail: eparqia-f@mail.ru

**საქართველო** ისტორიული რეზენს სიბს  
<http://www.geworld.net>

მთავარი რედაქტორი ირაქლი თოდუა  
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:  
არმაზ სანაბლიძე, გონდო მძინარაშვილი  
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანდუარაშვილი  
ვებრედაქტორი გოჩა ხავეთია  
რეალიზაციის მენეჯერი ლაშა ბუბუაძე, ოფისმენეჯერი თამარ ვაშაძე,  
რეკლამის მენეჯერი ეთერ კასრალიშვილი (899 110 200)  
გაზეთში ხელმძღვანელობს თამარ ზვინაძე, თამარის პრინციპალი.  
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5  
ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net